სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18739151395716

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160429490

რეგისტრაციის თარიღი

25.04.2016 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდახუთ აპრილს, მე- **ციური ბერიძეს**, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ბატონმა **ზურაბ თარგამაძემ** (დაბ. 19.12.1962 წელს, პირადი № 01019039749, რეგისტრირებული: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 38 ბ. 88) და ქალბატონმა **ქეთევან თარგამაძემ** (დაბ. 06.08.1969 წელს, პირადი № 01005022265, რეგისტრირებული: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 38 ბ. 88) მათ განაცხადეს, რომ სურთ გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭონ ბატონ **საბა აფციაურს** (დაბ. 26.08.1973 წელს, პირადი № 01008036008, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. N 9 ბ. 76). მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.
შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერეს წინამდებარე მინდობილობის ოთხ ეგზემპლიარს ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდახუთ აპრილს, ბატონმა **ზურაბ თარგამაძემ** (დაბ. 19.12.1962 წელს, პირადი № 01019039749, რეგისტრირებული: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 38 ბ. 88) და ქალბატონმა **ქეთევან თარგამაძემ** (დაბ. 06.08.1969 წელს, პირადი № 01005022265, რეგისტრირებული: თბილისი დიღმის მას. III კვ. კორ. 38 ბ. 88)-შემდგომში "მარწმუნებლები" სრული უფლებამოსილება მიანიჭეს ბატონ **საბა აფციაურს** (დაბ. 26.08.1973 წელს, პირადი № 01008036008, რეგისტრირებული ქ. თბილისი, შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ I კვ. კორ. 1ა ბ. 1) - შემდგომში "რწმუნებელი" იყოს მათი სრულუფლებიანი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად, კერძოდ:

1. იყოს მარწმუნებლების წარმომადგენელი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებში, შემოსავლების სამსახურში, მათ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში, მერიის ზედამხედველობის, არქიტექტურისა და სხვა სამსახურებში, მარწმუნებლების თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე: ქ. თბილისი, დაბა წყნეთი ე.წ "ნუშის ბაღი"-ს ტერიტორიაზე (ნაკვეთი № 115) (ს.კ 01.20.01.010.041) საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებათან დაკავშირებით, მიიღოს და წარადგინოს ნებისმიერი საჭირო დოკუმენაცია, ხელი მოაწეროს მათ.
2. მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მათ მაგივრად, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს განუსაზღვრელი მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოშსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7-მუხლის საფუძველზე- 20 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-3,60 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად. სულ 25,60 ლარი

ნოტარიუსი ციური ბერიძე